სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61917720206423

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231780648

რეგისტრაციის თარიღი

29.12.2023 წ

ნოტარიუსი: სოფიკო გობეჯიშვილი
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი 3,ბინა N1
ტელეფონი: 2 725310

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა დეკემბერს მე, **ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #49 კვარტალი 1, კორპუსი 3, ბინა 1, მომმართა **შპს „დიღომი 2021“-ს** დირექტორმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B22056211, 10/05/2022,** იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი, ბრწყინვალეს ქუჩა N46, დამხმარე ფართი N7, სადარბაზო 1, ნიშნული -4.00, **ს/ნ 405463724**) **ლაშა გოგოლაძემ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ლაშა გოგოლაძემ** (დაბ. 13.01.1987წ. პ/ნ **11001017478**, რეგისტრირებული მისამართზე: ბორჯომი გრ.ხანძთელის I შეს. N 1) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება, დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მას, განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ **მან** თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „დიღომი 2021“-ს** (ს/ნ **405463724**) დირექტორი **ლაშა გოგოლაძე** (დაბ. 13.01.1987წ. პ/ნ **11001017478**, რეგისტრირებული მისამართზე: ბორჯომი გრ.ხანძთელის I შეს. N 1), **ზურაბ ლოლაშვილს** (დაბ. 01.10.1961წ. პ/ნ **01008008282**) ვანიჭებ უფლებამოსილებას, იყოს წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის ნებისმიერ სამსახურში, ჩემი სახელით მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტაცია, ცნობა, განაცხადი და ა.შ. მოახდინოს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, I და III მ/რ შორის, (ნაკვეთი N1/41), სადარბაზო 3, ბინა N1203 (ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46) **(ს.კ. 01.10.06.001.205)** პარამეტრების დადგენა, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს დოკუმენტები, მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, ნებართვის გაგრძელება, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა, განახორციელოს პროექტის კორექტირება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, გადაიხადოს საზღაური და ნებისმიერი მოსაკრებელი და შეასრულოს ყველა მოქმედება, სამშენებლო ნებართვების და პროექტების მიღება/წარდგენასთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის **სამ** ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: მომზადების თარიღი: **10/05/2022**;
2. წესდება (ელექტრონული ასლი, ამობეჭდილი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ერთვის სანოტარო აქტს რ/რ **#221327771** და ინახება ს. გობეჯიშვილის სანოტარო არქივში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **30 (ოცდაათი)** ლარი (“სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.8-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური **5 (ხუთი)** ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). **სულ გადახდილია 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი.**

შპს „დიღომი 2021“-ს დირექტორი **ლაშა გოგოლაძე** ---------- ლაშა გოგოლაძე ----------

ნოტარიუსი ---------- /სოფიკო გობეჯიშვილი/

ორი ათას ოცდაორი წლის თხუთმეტ აგვისტოს **მე, საქართველოს ნოტარიუს თინათინ რურუას,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგის No:6, მომმართა: ლაშა გოგოლაძემ.

მან მოითხოვა თანხმობის შედგენა ქართულ ენაზე ერთ გვერდზე, ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და მასზე ორი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ლაშა გოგოლაძემ (დაბ. 13.01.1987წ. პირადი No:11001017478, მისამართი: ბორჯომი, გრ.ხანძთელის I შეს. No:1) მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მან **ჩემი, საქართველოს ნოტარიუს თინათინ რურუას** თანდასწრებით პირადად შასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **30.96** /ოცდაათი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი/ **ლარი,** მათ შორის: **12.00** /თორმეტი/ **ლარი (ორი ეგზემპლარისთვის),** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 31-ე მუხლისა, **10.00** /ათი ლარი და ნული თეთრი/ **ლარი,** თანახმად აღნიშნული დადგენილებების 31-ე მუხლისა (განცხადების პროექტის შედგენისათვის), **3.96** /სამი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი/ **ლარი (დღგ),** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და **5.00** /ხუთი/ **ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური,** თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 39-ე მუხლისა.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

წინამდებარე დოკუმენტით, შპს „დიღომი 2021“ (ს.კ. 405463724) წარმოდგენილი დირექტორის **ლაშა გოგოლაძის** (დაბ. 13.01.1987წ. პირადი No:11001017478, მისამართი: ბორჯომი, გრ.ხანძთელის I შეს. No:1) სახით, როგორც 01.10.06.001.205 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული მიწის მესაკუთრე აცხადებს თანხმობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში დაკორექტირდეს და შეთანხმდეს არქიტექტორ **ზურაბ ლოლაშვილის** (დაბ. 01.10.1961წ. პირადი No:01008008282, მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. No:72ა, ბ. 58) მიერ წარმოდგენილი პროექტი, ასევე გაიცეს მასზე მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის # 101 განკარგულებით განსაზღვრული ახალი კოეფიციენტის შესაბამისად.

ლაშა გოგოლაძე

ნოტარიუსი თ. რურუა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221040595
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.08.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თინათინ რურუა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგი N6**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**591709931**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29619630624622

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**